პატრიარქმა კირილემ ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ანტონის კეთილმორწმუნე მთავრის, დანიელ მოსკოველის ორდენი გადასცა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 24.10.2024. 2024 წლის 24 ოქტომბერს, მოსკოვში, დანიელის მონასტრის საპატრიარქო და სინოდალურ რეზიდენციაში, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე შესვენების დროს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმიდესმა პატრიარქმა კირილემ მოსკოვის მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი კეთილმორწმუნე მთავარ დანიელ მოსკოველის (II ხარისხის) ორდენით დააჯილდოვა.

ორდენის გადაცემას ესწრებოდნენ წმინდა სინოდის წევრები, – **იტყობინება** მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრეს-სამსახური.

საპატრიარქო ჯილდო მას **40 წლის იუბილესთან** დაკავშირებით და გულმოდგინე სამღვდელთმთავრო შრომისთვის გადაეცა.

„გილოცავ, მეუფევ, მაღალ ჯილდოს და მადლობას გიხდი შენი შრომისთვის, – მიმართა მას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა ორდენის გადაცემისას. – მე გიცნობ, შეიძლება ითქვას, შენი სიყრმის წლებიდან და ვარ მოწმე შენი აღმასვლისა ძალით ძალამდე. შემიძლია ვთქვა, რომ უფალმა ბევრი მოგცა, და რასაც უფალი იძლევა – ეს არა ჩვენგან, არამედ ღვთისგან ბოძებული ნიჭია. მაგრამ როგორ განვკარგავთ ღვთის ამ საბოძვარს, ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული. შენ მიიღე, განავითარე და გამოიყენე ის შენი ცხოვრების მრავალ გარემოებაში, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდებოდა წმინდა ეკლესიის საპასუხისმგებლო მსახურებას. მადლობას გიხდი ამისთვის და გისურვებ ღვთის შემწეობას, დიდხანს სიცოცხლეს და შენს უაღრესად სასარგებლო მსახურების გაგრძელებას. წყალობა უფლისა შენ თანა!”.

მიტროპოლიტმა ანტონიმ გულითადი მადლობა გადაუხადა უწმინდეს პატრიარქ კირილეს მაღალი ჯილდოსთვის.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92396/